საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

16/04/2025 N 92

თბილისი

შპს „ჯი-ეფ-ეს ჯგუფის“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე თანხმობის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 14 თებერვლის №34/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტებისა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი ეთანხმება შპს „ჯი-ეფ-ეს ჯგუფის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405191135) ლიკვიდატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში 2025 წლის 8 აპრილს შემოტანილ განცხადებას და თანხმობას აცხადებს, რომ ლიკვიდატორმა სასამართლოში შეიტანოს განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ;
2. ეს განკარგულება გამოცემიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.nbg.gov.ge) და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge);
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი